სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დი „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალი ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

დარია ზაქარიას ასული და ელისაბედ სერგეის ასული მირზოევისანი და კნეინა მარიამ ივანეს ასული არღუთინსკი-დოლგორუკოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა თვისთა გარდაცვალებას პირველი შვილისას, მეორე—ქმრისას და მესამე ძმისას

მინა ივანეს ძის მირზოევისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ორთაჭალაში, საკუთარს სახლში. მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 24 სექტემბერს, ვანქის სობოროში დილის 9 საათზე. დაკრძალავენ სოფ. თელეთში. (3—1)

„ცნობის ფურცლის“ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ახლად გამოსული ისტორიული რომანი აფხაზების ცხოვრებიდან დ. მორდოვცევისა

ამირანის შვილნი

მთარგმნელმა, ბ-ნმა თ. სახოკიამ, შესაძლებლად დაინახა „ცნობის ფურცლის“ ხელის-მომწერთ მანეთის მაგივრად 70 კაპ. დაუთმოს.
ქალაქ გარეშე მცხოვრებ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ გამოგზავნონ ფულის მაგივრად ფოსტის მარკები რედაქციაში ბ-ნ თ. სახოკიას სახელობაზე.
ვინც 30 ცალს ერთად იყიდის, „ამირანის შვილნი“ თითო 60 კაპეიკად დაეთმობა.
ამასთანავე ვაუწყებთ პატივცემულ მკითხველთ, რომ „ამირანის შვილნი“ გასასყიდად მარტო 100 წიგნია.

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა“.
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განახორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს შარიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს.
მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის“ ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—35)

დრამატ. საზოგ. დროებითი თავმჯდომარე ამით იუწყება, რომ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების

საგანგებო კრება

დანიშნულია 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში
გამგეობის ხუთ წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადეს. (5—3)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხ. გამავ. საზ. წიგნის მაღაზიაში

ქართული საერო და სასულიერო კილოები

შედარების ნიმუშებით
მღვდ. პ. კარბელაშვილისა
ფასი 20 კაპ. (10—7)

შპალერების საწყობი

ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ

І. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—48)

ქალების საკვირაო სკოლაში

რომელიც არის მოთავსებული სომხის ბაზარში ფრანგების ეკკლესიის პირდაპირ (პროფესიანალურ სკოლაში. ასწავლიან ყველა საგნებს და აგრეთვე ჭიგიენას.
ხელსაქმე კვირაში ორჯელ არის ორშაბათს და ხუთშაბათს 4—6 საათამდინ. სწავლა კვირა დღეობით თერრმეტის ნახევრიდან იწყობა. (6—2)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (Ђ.)

ვექილი

ი. ი. ზურაბოვი

გადავიდა სუდებნი ქუჩაზე, სახ. № 15. (10—7)

მხატვარი

გ. გაბაშვილი

გაკვეთილებს აძლევს კავკასიის სამხატვრო საზოგადოების დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 5. მსურველთ ადრევე უნდა ჩაეწერნენ. (10—4)

ეგზამენები

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის პირველ კლასში შემოსასვლელი დაიწყება 23 სექტემბერს და გათავდება 25-ს. (5—5)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** ხელოსანთა ამხანაგობის „შრომის“ ქარხანა გუშინ საღამოზედ დაუთვალიერებია ბ-ნ ვიცე-გუბერნატორს, დიდად კმაყოფილი დარჩენილა ყოველივე ნანახით, გაუმხნევებია ხელოსნები და აღუთქვამს დახმარება.

*** **ახალი სახელმძღვანელო.** მასწავლებელს ლუკა ჩომახიძეს შეუდგენია სახალხო სკოლების უფროს განყოფილებაში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი „ბავშვების ქვეყანა“ („Дѣтскій Міръ“). წიგნი შესდგება შვიდი განყოფილებისაგან: I. ლექსები, იგავები და ანდაზები. II. პატარ-პატარა სტატიები. III. მცენარეები, ცხოველები და ადამიანი. IV. სამშობლოს შესწავლა. V. ბუნების მოვლენანი. VI. მოკლე გეოგრაფია საქართველოსი და კავკასიისა. VII. საქართველოს ისტორიიდამ. წიგნში არის ჩართული სურათები და კავკასიონის რუკა. ეს წიგნი წარდგენილია გასასინჯად კავკასიის სამოსწავლო ოლქში.

*** **სემინარიელები უმაღლეს სასწავლებელში.** გაზეთების სიტყვით, წელს საიმპერატორო ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტში მიღებულ იქმნა 32 კაცი. მეტი ნაწილი სემინარიაში კურს-დამთავრებულნი არიან. გამოცდილ იქმნენ მხოლოდ რუსულსა და ძველს ენებში.

*** **სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულება.** სახალხო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ სამასწავლებლო სემინარიებში შესვლის ნება არ მიეცეთ ისეთ პირთ, რომელთაც სრულიად არ შეუძლიათ გალობა.

*** **საშუალო ტეხნიკური სასწავლებელი კავკასიაში.** გაზ. „ნოვოსტი“-ს სიტყვით, მთავრობას საჭიროდ უცვნია დაარსებულ იქმნეს კავკასიაში საშუალო ტეხნიკური სასწავლებელი.

*** **მეშჩანთა დეპუტატების დამატებითი არჩევნები.** 20 სექტემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა დამატებითი არჩევნები მეშჩანთა 27 დეპუტატისა. არჩევნებზე გამოცხადდა 47 ამომრჩეველი, ბარათებით წარდგენილ იქმნა 42 კაცი. წარსულ კრებებზე ამორჩეულთაგან დეპუტატობაზე უარი განაცხადა მანველოვმა, ამიტომ 27-ს მაგივრად არჩეულ იქმნა 28 კაცი.

*** **მოსეს ხუთი წიგნის დაბეჭდვა.** ბრიტანიის ბიბლიური საზოგადოება, ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის ნება-რთვით, შეუდგა ქართულ ენაზე მოსეს ხუთი წიგნის ბეჭდვას. ეს თხზულება დაიბეჭდება მხედრული ასოებით და ეღირება ძალიან იაფად.

*** **ყაჩაღის მოკვლა.** ბორჩალოს მაზრის უფროსმა დაურიგა რამდენსამე კერძო პირს თოფები ყაჩაღებთან საბრძოლველად. ერთ მათგანს, ვიღაც მებოსტნეს, მოუკლავს ამ დღეებში ერთი ყაჩაღი, თათარი, რომელიც ეკუთვნოდა მოკლულ ყაჩაღის ხეჩოს ბრბოს. („ნ. ო.“)

*** **14 წლის ქალის დაკარგვა.** ქ. ტფილისის რკინის გზის სადგურის მწონავის ცოლმა შმიდტისამ 18 სექტემბერს გამოაცხადა პოლიციის მეათე ნაწილში: 17 სექტემბერს ჩემი 14 წლის ქალი თამარა შმიდტისა, რომელიც მე-2 საქალებო გიმნაზიაში წავიდა, მეორე დღეა შინ აღარ დაბრუნებულაო. ქალის სახლში დაუბრუნებლობის მიზეზი იმით ახსნა, რომ განმეორებითი ეგზამენი ვერ მოიხადაო.

*** **ახალი წიგნი.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნი „Болѣзни и пороки вина“, ნათარგმნი გერმანულიდან პ. შალიშევის მიერ და გამოცემული ა. მ. სოლომანის რედაქციით. წიგნი სუფთად არის დასტამბული, შეიცავს 90 გვერდს.

*** **ჟურნალი „ჯეჯილი“.** ჩვენ მივიღეთ მეცხრე ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა“ შემდეგი შინაარსით: I „ორი პასუხი“—ლექსი დუტუ მეგრელისა, II „გუგული“—ამბავი თ. რაზიკაშვილისა, III „ვაშლების ქვეყანა“—თარგმანი ეკ. გაბაშვილისა, IV „მოწყენილი ჩიტი“—ლექსი შ. მღვიმელისა, V „კალიის შურის ძიება“—თარგმანი ა. წ—სა, VI „ვახტანგ მეფე და ორი გოლიათი“—ისტ. ამბავი გ. წყალტუბელისა, VII „პირუტყვთა ჭკუაგონება“—თარგმანი თეოფ. კანდელაკისა, VIII „ფიზიოლოგიური წერილები“—(წერილი VII) ივ. გომართელისა, IX „უგუნური ბუებიც გრძნობენ ჩემს უსამართლობას!“—პელაგიაშვილისა, X „საკვირველებანი ბუნებისა № 18“—ლადო აღნიაშვილისა, XI „სამეცნიერო გასართობი № 8“—ბორასი, XII ურჩი მიუშვი ნებასა“—თეოფ. კანდელაკის, XIII „მეცხვარე და მგელი“—იგავი, ალ. მირიანაშვილისა, XIV „ყვავი და ბულბული“—ჩეხური იგავი, XV წვრილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანა, სახუმარო, შარადა, რებუსი და სხვა.

*** **დ. ჩოხატაური** (გურია). **დაბის უსუფთაობა.** ამ დაბაში არავითარი წეს-რიგიანობა არ არსებობს; ქუჩა მოუკირწყლავია, ალაგ-ალაგ ლაფი დგას, აქა-იქ-კი დაუყრიათ უშველებელი ქვები, რომლებიც ღამით გამვლელთ ადვილად მოსტეხენ კისერს. დაბა გაუნათებელია, დუქნების წინა და უკან საშინელი სიბინძურეა; არა აქვთ საქონლის დასაკლავი სუფთა ადგილი, წუმპეში კლავენ საქონელს და ისე ბინძურ ხორცს აწვდიან მყიდველთ და სხვ. თუმცა ამ დაბას დეპუტატები-კი ჰყავს დაყენებული, მაგრამ ჰყავს მხოლოდ სახელით და არა საქმით.

— **სკოლა და სამკითხველო.** მართალია, სკოლა და ბიბლიოთეკა-სამკითხველო-კი არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ ასრულებს თავის დანიშნულებას. სკოლა მეტად პატარაა, 60—80 ბავშვს ძლივს იტევს, ხოლო ყოველ წლივ სწავლის მსურველთა რიცხვი 100-ს აღემატება. წელს 1-ლ სექტემბერს, მე, ამ სტრიქონების დამწერმა, თვითონ ვნახე, რომ ამ სკოლის მასწავლებელმა ოთხმოცი თვალ-ცრემლიანი ბავშვი გაისტუმრა უკან, უადგილობის გამო. ერთი სამრევლო სკოლა არსებობდა გოგოლესუბანში და წელს საბრალო დაკეტეს. იქ მოსწავლე 50 ბავშვიც და 150 სხვა, სულ 200 ბავშვი წელს ფარცხმის საზოგადოებაში უსწავლელად დარჩა.

სამკითხველო? მისი საქმეც ახლართულ-ჩახლართულია, მისი ლალა-ძიძები ზოგი ალთას გარბის, ზოგი ბალთას, თანხმობა და ერთობა არა აქვთ. სამკითხველოსთვის ერთობ ცოტას ზრუნავენ, რის გამო საშინლად ღარიბია აქაური სამკითხველო. გამგედ ვიღაც ბავშვი დაუყენებიათ და თუ სთხოვეთ რომელიმე ჟურნალ-გაზეთი ან წიგნი, ერთხანს გაშტერებული შეგყურებთ, თითქოს უკვირს, რას მეკითხებაო და ბოლოს-კი გიპასუხებს: „არ არის, იგი ქე წეიღო ვინცხამო“.

— **ავადმყოფობა.** ეს ორი წელიწადია საშინლად გავრცელდა აქეთ ერთგვარი ანთებით ავადმყოფობა და ბევრიც იმსხვერპლა.

აბელი

*** **ს. ახალ-სოფელი** (კახეთი) **ხალხის ცრუ-მორწმუნოება.** კახეთი საზოგადოდ თითქმის ყოველ წელს ისეტყვება და ეს, ადამიანის დამღუპველი მოვლენა, არც ახალსოფელს ასცდება ხოლმე. ამ ბუნების მოვლენით მშვენიერად ისარგებლა ერთმა ახალ-სოფელმა [illegible] სომეხმა და შემდეგს ხრიკს მიმაყოთა, შეეკითხა ხალხს: მე რომ სეტყვა არამც თუ აგაცდინოთ თავიდან, არამედ სრულებით აღარ მოვიყვანო(?), გასამრჯელოს მომცემთ თუ არაო? „შე ქრისტეს ჯვარისაგან დალოცვილო; თუ კი მაგ სიკეთეს გაგვიწევ, ვინ ღვთისა და კაცისაგან დაწყევლილი თავს ყმათ არ გაგიხდისო!“ შესძახა ბრბომ „მე ყმობა რათ მინდა! თქვენ კომლზედ თითო აბაზის მოცემის პირობა დამიწერეთ და თუ აქ სეტყვამ კიდევ გაიაროს, მაშინ არამც თუ თქვენი ფული არ მინდა, არამედ, რაც გინდა მიყავით“!

სთქვეს და აასრულეს. ხსენებულ ვაჟბატონს დაუწერეს ქაღალდი, მოუწერეს ხელი, შეუმოწმეს კანონიერათ, ჩაუწერეს თითოეულს კომლზე თითო აბაზის მიცემა, ჩააბარეს ესევე ქაღალდი და შაბაშ! „სასწაულთ-მოქმედმა“ ხალხის დასანახველად [illegible] აიღო ნიშნად ათი ოთხ-კუთხი ვერსის მანძილი, თითოეულს კუთხეში რაღაც გრა[illegible]ების ლოცვები ჩაჰფლა მიწაში, ქაღალდიც, სოფლელების მიერ მიცემული, ჩაიდო ჯიბეში ⁊ არხეინად დაიარება სოფლად. თუ წელ[illegible] უსეტყვაოთ გადავრჩით, გაქვთ ს[illegible] ცოცხლე მან ჯიბეში ფული ჩა[illegible] ჩხრიალოს. ნუ თუ ეს პატარ[illegible] მაგრამ ფრიად სამწუხარო მაგალი[illegible]თი ნათლად არ გვიჩვენებს თუ რა უზომოდ გონება დახშულია ჩვენი გლეხ-კაცობა.

ჰამლეტი

*** **ს. ნიგოითი** (გურია). **სკოლის ბაღის მდგომარეობა.** აქაურ ორ კლასიან სამინისტრო სკო[illegible]

ბაღში არის მოშენებული ბჟოლა (თუთა) და სხვა და სხვა ნამყენები, აგრეთვე არის ცარიელი მიწაც, ბოსტნეულობის მოსაყვანათ. დღეს მთელი ეს ბაღეულობა განადგურებულია პირუტყვისაგან, და ეს გახლავთ იმის მეოხებით, ვინც ბაღის ყურისმგდებელი უნდა იყოს.

მათე გ—ლაძე

*** **დ. ზუგდიდი. ხალხის გაჭირვება.** დ. ზუგდიდის მაზრა წარმოადგენს ნოტიო ადგილს, ამის გამო აქაური მცხოვრები ხშირად იტანჯება ციებ-ცხელებით და სხვა და სხვა ავადმყოფობით: ამ უბედურებას ისიც ზედ ერთვის, რომ ღარიბი საზოგადოება მეტად შევიწროებულია წამლების ყიდვით. ავადმყოფის პატრონმა, ჯერ ექიმი უნდა დაასაჩუქროს თავის გარჯისათვის, შემდეგ წამალი, რომელიც ღირს ერთი მანეთი, სამ მანეთად უნდა იყიდოს აფთეკაში. გარდა ამისა დავრდომილ-დაუძლურებულ ავადმყოფს ერთჯერ ნაყიდი წამალი არ შველის, მას განმეორებით უნდა მიაშველონ წამალი, მაგრამ ვეღარ გაუბედნიათ წამლების ყიდვა სიძვირის გამო, ამ მიზეზით ბევრს უძნელდება ავადმყოფობა და ბევრიც კვდება.

აქაური მაზრის ექიმი ვერ წვდება სახელმწიფო სამსახურს და ხშირ ავადმყოფობას. კიდევ კარგი, რომ ისეთი ფერშლები მაინც გვყავს, რომლებსაც შეუძლიანთ ავადმყოფობის გამოცნობა, აგრეთვე მოვლა და შესაფერი რეცეპტების წერაც. ამ ფერშლებს საზოგადოება მადლიერი ჰყავთ, მაგრამ მათ შორის არის ერთი, რომელსაც უჭირავს მეძვირე აფთექარის მხარე. თვითონ მეაფთეკე ხშირად არ არის აფთეკაში და დაყენებული ჰყავს შიგ ერთი მოწაფე, რომელსაც არ შეუძლიან რიგიანად წამლის მზადება. ეს მოწაფე წამლისთვის, ნახევარი საათის მაგიერად, მთელ სამი-ოთხ საათს აცდევინებს მუშტარს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

კუხელი

*** **სოფ. საყულა** (იმერეთი). **მღვრიე წყალში თევზის ჭერა.** ამ სამი წლის წინად ერთმა აქაურმა მცხოვრეამა ერთის აქაურივე მცხოვრების ქალიშვილი წაიყვანა საცოლედ მშობლების უნებურად და რადგან ქალიც თანხმა ჰყავდა, ჯვარი დაიწერა მასზე. მაგრამ დედამ და ძმამ ქალისამ იუკადრისეს ეს საქმე და იმ დღიდან ამ დღემდე უნებურ სიძეს მოსისხლე მტრად გადაეკიდნენ. თუმცა ბევრმა პატივსაცემმა პირმა მოინდომა მათი შერიგება, სიძემაც მიჰმართა გარეშე პირთ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ, მაგრამ ვერაფერი ვერ მოახერხეს. აი მიზეზი შეურიგებლობისა: ერთი ვაჟბატონი სარგებლობს ამ უკმაყოფილებით, ამხედრებს ცოლის ძმას სიძეზე, მღვრიე წყალში თევზს იჭერს და იძღებს თავის დამშეულ კუჭს.

დიდგულაძე

*** **კავთისხევი** (ქართ.) **უბედური შემთხვევა.** ამ დღეებში აქ ერთი უბედურება მოხდა. აქაური მცხოვრები გიორგი სესიკელაშვილი კაკალს ბერტყავდა; იმ დროს, როდესაც კაკლის წვეროზე მოექცა და კაკალს ხელა დაუშინა, მოუსხლტა ტოტზე ფეხი, ჩამოვარდა ძირს და სრულიად დაიმსხვრა წელ ქვევით. კაკლის სიმაღლე ექვს საჟენს აღემატება. საცოდავი ავადმყოფი ვერცა ჯდება, ვერც წვება და ადგომა ხომ სრულიად არ შეუძლია. ისე არის დამსხვრეული საბრალო კაცი, რომ ვერ გაუგია თითონვე, რა და რა სხეულის ასოები სტკივა, ან რა აქვს მოტეხილი. ამ უბედურს ქვეყანაში ექიმი არსად მოიძებნება და მანამ ურმით იმას ქ. გორში გაიტანდნენ, სულსაც განუტევებს, რადგან კავთისხევიდან გორამდე 30 ვერსია.

ივ. კავთი—ველი

*** **ქ. ოზურგეთი. კბილის ექიმი.** ერთი თვე იქნება, რაც აქ ჩამოვიდა კურს დამთავრებული კბილის ექიმი ბ. სამსონ ვაშაყმაძე და კიდევაც გახსნა გ. ქარცივაძის სახლში კაბინეტი. მიიღო ყოველივე ხელსაწყო მასალები მოსკოვიდან და ექიმობს. სასიხარულო უნდა იყოს ასეთი ექიმის მოსვლა ოზურგეთელებისთვის, რადგანაც ამდენ ხანს აქ არავინ ყოფილა მცოდნე კბილის ექიმი და ხშირად მოსალოდნელი იყო აქაური უვიცივ ექიმები კბილთან ერთად ყბაც მოეგლიჯათ ავადმყოფისთვის. თუ ვისმე კბილის გაკეთება დასჭირდებოდა, დაპლომვა ან ახლის ჩადგმა, უნდა წასულიყო სხვა ქალაქში, რაც ორკეც ფასათ ჯდებოდა. ეს პატივცემული ექიმი ვაშაყმაძე ძლიერ პატიოსანი კაცია და თავდაბალი. მოსწავლეებს და ღარიბს კბილის ამოღებისთეის არას ახდევინებს და რეცეპტსაც მუქთათ უწერს.

ლეხოურელი

*** **დ. სამტრედია. კეთილი განზრახვა.** ერთ აქაურ მცხოვრებს ამ რამდენიმე წლის წინათ კარგი შეძლება ჰქონია, მაგრამ, როგორღაც მომხდარა, რომ მისი მიწა-წყალი ერთიანად ცნობილ ვაჭრის ბ. სიხარულიძის ხელში გადასულა, და ძველი მემამულე დღეს თავის წვრილი ცოლშვილით ნაქირავებს სახლში დგას, ძრიელ ღარიბათ სცხოვრობს და მეტათ აწუხებს შვილების უსწავლელობა, რადგანაც სიღარიბე ნებას არ აძლევს ბავშვები სასწავლებელში მისცეს, მაგრამ მისდა სანუგეშოთ, როგორც გავიგეთ, ბ. სიხარულიძეს აღუთქვამს მისი შვილების სასწავლებელში აღზრდა თავის ხარჯით. ბ. სიხარულიძე ამგვარ კეთილ საქმეებში, როგორც უცოლშვილო და შემძლებელი კაცი დაუზარებელია. ღმერთმა ჰქნას, რომ ბ. სიხარულიძეს ეს კეთილი განზრახვა სისრულეში მოეყვანოს და მისი წყალობით ხსენებული ბავშვები არ ასცდენოდნენ სწავლა-განათლებას.

ანტონასშვილი

*** **დ. ზესტაფონი** (იმერეთი). **აქაური რამე-რუმე.** აგერ რამოდენიმე წელიწადია რაც ამ დაბაში ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით აქვთ აქაურ მოვაჭრეთ დავალებული: იყოლიონ ყოველ წლივ თავიანთი ფულით დაქირავებული ღამის დარაჯნი, არა ნაკლებ ხუთი კაცისა, რომლებიც ვალდებულნი არიან აასრულონ ადმინისტრაციის ყოველივე ბრძანება. არ გასულა ორი წელიწადი ამ წესრიგის დაარსების შემდეგ, რომ თვით მოვაჭრეებმა მოინდომეს მისი გაუქმება, რადგან მათის შეხედულობით იმის მეათედიც არა კეთდებოდა, რაც ფული იხარჯებოდა. თუმცა ადგილობრივ მთავრობას დიდ სამსახურს უწევდა ნიადაგ ხუთი კაცი, მაგრამ მარტო ამით ვერ კმაყოფილდებოდა საზოგადოება. რამდენი ხანი გადიოდა, იმდენათ უფრო ხდებოდა ხალხი დროზე გაუქმებიაო ეს დაწესებულება, მაგრამ ერთხმათ უარის თქმა ვერ მოახერხეს, ხოლო ცალკე ამის მთქმელს-კი ყოველთვის შეურაცხყოფა ადგებოდა. ამ უსარგებლო საქმეზე ყოველ-წლივ ორი ათასი მანეთი ფული იხარჯება და ეს იმ დროს, როდესაც ბევრი სხვა უფრო სასარგებლო საქმის გაკეთება ესაჭიროება ბნელით მოცულ დ. ზესტაფონს, მაგრამ ვინ არის პატრონი?

რვა წელიწადზე მეტი იქნება, რაც დარაჯებისთვის ყოველ-წლივ 2000—3000 მანეთამდის იკრიბებოდა, რაც შეადგენს სულ არა ნაკლებ 16000 მანათასა. სად წავიდა ამდენი ფული, რას მოახმარეს, რაში დაიხარჯა? ეს მხოლოდ ალახმა უწყის. ნათქვამია: „საერო ყანა ღორომ მოჭამაო“ და აკი ამ დაბასაც ასე დაემართა.

ერთი პოლიციაში არის „სტოროჟათ“, მეორე სამსჯავროებში დადის კონვერტებით, მესამე ფოსტაში მიეშურება და მეხუთე „ოჩრის“ ცხენებთან არის, რომ საჭიროების დროს „ჩინოვნიკს“ ცხენები მიართვას, ღამ-ღამობით-კი გამოაგზავნიან მათ ბაზარში სადარაჯოთ (გარდა ერთისა, რომელიც უნდა ნიადაგ პოლიციაში იყოს), მაგრამ მთელი დღე ნადავიდარაებ კაცს სადღა შეუძლია კიდევ ღამღამობით დარაჯობა! ჩაჯდება სადღაც და სძინავს...

წელს სადარაჯო ფულის მომგროვებელ პირებმა ორ აქაურ მეორე გილდის ვაჭრის შაგირდ სდანოქარს ადგილობრივი ბოქაულის განკარგულებით გასასყიდი ნივთები წაართვეს, რადგან „უხაზეინოდ“ მათ ხაზეინებზე შეწერილი სადარაჯო ფული ვერ მისცეს.

მალი

*** **ს. აბაშა** (სამეგრელო) **მადლობის გამოცხადება.** უმორჩილესად გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე რწმუნებულის ჩემდამო სამრევლოთაგან ლუკა ს. ქოთავას, რომელმაც ქ. ტფილისში შეაგროვა ფული 26 მანეთი სასარგებლოდ აბაშის სამრევლო საეკკლესიო სკოლისა და გამომიგზავნა მე, აგრეთვე ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შემწეობა შეძლებისა და გვარად არ დაიშურეს.

სია შემომწირველთა: ლუკა ს. ქოთავამ 2 მ., მალაქია ვ. ქოთავამ 2 მ., ალექსი დ. ქოთავამ 1 მ., ანდრია დ. პერტენავამ 1 მ., არჩილ მ., ბჟალავამ 1 მ., სარდიონ კ. ქოთავამ 1 მ, შარვან ი. ქოთავამ 1 მ., რემანოზ ე. ქოთავამ 1 მ., ი რემანოზ ი. კორძორიამ 1 მ., რემანოზ ს. ჯალაღენიამ 1 მან., იონა და ერმილე გ. ჯალაღენიებმა 1 მ., ნიკოლოზ ი. გაბილაიამ 1 მ., ევგენი გ. პერტენავამ 1 მ. კირილე ს. ქოთავამ 1 მ., თადაოზ ზურაბისძე ქოთავამ 1 მ., თადაოზ ბ. ქოთავამ 1 მ., ნესტორ ივანესძე ქოთავამ 1 მ., ანდრია ს. ქოთავამ 1 მ., ლუკა მ. ქოთავამ 1 მ., ქაქუჩია შ. ჭალაღანიამ 1 მ.ა სერგი ი. ქოთავამ 1 მ., კოსთა გიგოსძე ქოთავამ 1 მ., ირაკლი ვ. პენტენავა 50 კოპ. ანტონ ნ. შოთაძე 50 კაპ. სამსონ მ. ქოთავა 1 მ.

მღვდელი რაჟდენ ჭალაგანიძე.

## თეატრის მატიანე

### სახალხო წარმოდგენა

ციმბირელი. კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა, 20 სექტემბერი.

გავიდა ქალაქის დამძინებელი ზაფხული, მოახლოვდა შემოდგომა და სახალხო თეატრში ქართული წარმოდგენების სეზონიც გაიხსნა. ველოდით სახალხო თეატრის მმართველნი ახალს პიესას გვიჩვენებენო (რადგან შარშანდელი სეზონის დასასრულში კომისია ჰპირებოდა ახალის პიესების

შოვნას), მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა; ამ გარემოებამ გვაჩვენა, რომ თეატრის კომისიას მაინცა და მაინც არ უმუშავნია... ასე იყო თუ ისე, წარმოდგენამ მაინც ბლომა მაყურებელი (მდაბიო ხალხი) მიიზიდა, რომელთა შორის ერივნენ ზოგიერთი დროს გამტარებელი ინტელიგენტნიც,

თეატრის დარბაზი შარშანდელზედ გაცილებით უკეთესად არის შეკეთებული: უკანა სკამები ამაღლებულია, კოპწია სცენა მშვენივრათ მორთულ-მოკაზმულია, შესასვლელი ფასი ერთი შაურია. (ურიგო არ იქნებოდა პირველ რიგების ფასი ცოტათი მოემატებინათ (აბაზი, ორი შაური) და ზედ მეტი შემოსავლისა—ხარჯს გარდა—გადაედოთ თეატრისთვის ტანისამოსისა და სხვა ამ გვარ საჭირო საგანთა შესაძენათ.

წარმოდგენა დაიწყო 9 ნახევარ საათზედ. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული პიესა რამდენჯერმე უთამაშნიათ სახალხო თეატრში, ამ ჟამად შედარებით სუსტათ იყო წარმოდგენილი. ზოგიერთებმა როლები კარგად არ იცოდნენ, ზოგნი სიტყვებსა და მოქმედებას ერთმანერთს არ უთანახმებდნენ, ზოგმა (მაგ. ქლესოვი). არ იცოდა თავისი ხელები და ტანი სცენაზე როგორ მოეთავსებინა; იქცეოდნენ შინაურულათ, თითქოს სცენაზე, მრავალი მაყურებლის წინაშე არ იდგნენო.

კარგათ ითამაშეს: თავადის ასულმა კატო წულუკიძემ (მაშიკო), ბბ. დ. შველიძემ (პეტუა), ი. ძნელაძემ (სტეფან მაკარიჩი), გ. ჯაბაურმა (ნიკოლა).

შეუდარებელი იქნებოდა ბ. ჯაფარიძე (ციმბირელი), რომ „ციმბირელის“ მდგომარეობისთვის, გარეგნობისთვის, ხმაც შეეფერებინა. მაშინ, როდესაც ციმბირელმა თავის ტანჯვით, მოთხრობით ხალხი უნდა შეაძრწუნოს, გამოიწვიოს სიბრალული უსამართლობით ტანჯულისადმი, უბრალო შთაბეჭდილებაც ვერ იქონია, მაგრამ თუ ეს ასე არ გამოუვიდა, მისი ბრალია, რომ ციმბირელის ფარაჯის ჩაცმასთან ერთად არ ჩაიდგა სული ციმბირელისა...

კარგი იქნებოდა აგრეთვე ბ. ბაქრაძე (მაზუთიანი), რომ თავის სცენაზე მდგომარეობის ორი ხანა გაეცალკ-ცალკავებინა; ერთი: ეჩვენებინა გულ-ზვიადი, მელა-ძუა და მედიდური კაცი, რომელსაც „მთელი ქვეყანა ერთ კალოთ მიაჩნია, ხალხი ჰიანჭველებათ“ და მეორე ხანა: როდესაც ეს ჰარმულად გამდიდრებული, გაამაყებული კაცი, ციმბირელის ნახვის შემდეგ, იცვლება სიგძე-სიგანით, ლაჩრდება და ფეხში უვარდება ივანეს...

პიესის საუკეთესო სურათებმა: ციმბირელის შეხვედრა ცოლთან, როცა მოულოდნელათ შეხვდებიან ერთმანერთს, ციმბირელის შეხვედრა მაზუთიანთან ძრიელ უფერულათ იყო. არ ეტყობოდა გამწვრთნელის (რეჟისორის) ხელი. საზოგადოდ, უნდა ვსთქვათ, რომ პიესა მაყურებელმა საზოგადოებამ ინტერესით მოისმინა და კმაყოფილიც დარჩა. იმედია მომავალში უფრო გააფართოვებენ სახალხო სცენის მოტრფიალენი თავიანთს მოქმედების ფარგალს, გააფართოვებენ და თავის სახალხო მოღვაწეობას ნაყოფიერს გახდიან მრავალთათვის.

ერთხელ კიდევ შევნიშნავთ: ეცადნენ წარმოდგენების მოთავენი, შეადგინონ სახალხო პიესების რეპერტუარი, იშოვონ სახალხო პიესები. ჩვენი ხალხის წინ-მსვლელობის მონატრეთ მოვალეობათ უნდა დაისახონ, დაეხმარნენ სახალხო თეატრს რითაც შეეძლებათ სდარგმნონ პიესები, მიაწოდონ ორგინალური პიესები და სხ...

დასასრულ დიდი მადლობის ღირსნი არიან ის პირნი (ქ. მ. ი. დემურიასი, ბბ. გ. ლასხიშვილი, ი. ქუთათელაძე და სხვ...), რომელნიც ზრუნავენ ამ საქმეზედ. ვუსურვებთ, რომ ამ სეზონში და შემდეგაც, არ მოეკლოთ ხალხისთვის შესაფერი წარმოდგენების მართვა. სამკალი მრავალია, მხოლოდ მუდმივ მუშაკთა-ღა ითხოვს დრო...

## სამეურნეო ცნობა

სიმწიფე თესლების და ნაყოფებისა. ბოტანიკაში მწიფე ნაყოფს მაშინ ეძახიან, როცა ის სკდება (მაგ. აკაცია) და ბუდეს თესლები შორდება. ან როცა ნაყოფი თავისით შორდება დედას. ძალ-დაუტანებლად, მაგალ. ვაშლი, მსხალი და სხვ., ან როცა ის ფერს იცვლის და მორბილდება (ყურძენი, ბალი). პრაქტიკო-მებაღეები ნაყოფს მაშინ ეძახიან მწიფეს, როცა იმას ეკარგება ფერი, არ მატულობს და არ ემატება საკვები ნივთები.

### შეგროვება თესლებისა.

თესლები ზოგიერთ მცენარეებისა ან ერთი და იმავე დროს მწიფდება. ან თან და თან, დრო-გამოშვებით, ზოგი მცენარეზედ სულ არ მწიფდება და თხოულობს განსაკუთრებითი მოვლას დასამწიფებლად.

ერთ დროს მწიფდება, მაგალითად, თესლები ბაღჩის მცენარეებისა: კიტრის, ნესვის, საზამთროსი, სხვა და სხვა მუხუდოებისა, ხაშხაშის, ნაძვის, (Pimus Picea), ფიჭვის (Pimus Silgettris) და სხვა. ამ მცენარეების თესლების მოგროვებას არ უნდა ნიმეტარი დაჩქარება, რადგანაც თესლები თავის ბინას უკაცოდ არ მოშორდება, თუ რომ რამემ ძალა არ დაატანა.

კომბოსტოს და ორ-ბუდოვან პარკებიანი მცენარეების თესლები ერთ დროს არ მწიფდებიან; ზოგი ადრე მწიფდება და ზოგი გვიან და ამიტომ მოგროვებაც უნდა დრო გამოშვებით. ამისთანა მცენარეების პირველად მოგროვებული თესლები არის საუკეთესო. თუ რომ რაიმე მიზეზის გამო თესლები ზოგიერთ მცენარეებისა არ მწიფდება, იმ მცენარეებს ან ძირზედ სჭრიან, ან ძირიანათ მიწიდგან (მიწას აშორებენ), მოჭრილი ან ამოთხრილი მცენარეებს კონა-კონათ ჰკრავენ და თავდაღმა ჰკიდებენ თბილ და მშრალ ადგილზე. მცენარის ღეროებში იმყოფება ბევრი საკვები ნივთიერება და ის სარჩენად საკმარისია, მინამ თესლები დამწიფდებოდენ. ზოგიეთრს შემთხვევაში მცენარეებს იღებენ მიწიდგან, მიწასთან აყოლებენ, რგავენ რამე ჭურჭელში—ქოთანში, მაგალითად, და ისე ამწიფებენ თესლებს. როცა თესლები დამწიფდება—იმათ აშრობენ, ახმობენ, წმენდენ გა ინახვენ, რომელზედაც შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ნ. მკურნალი

(შემდეგი იქნება)


# ქართული რვეულები

დედა-ენასთან სახმარებელი, პირველი და მეორე ნომერი, იყიდება წერა-კითხვის მაღაზიაში; ფასი 4 კაპეიკი ვინც ასობით იყიდის, იმას თითო რვეული დაეთმობა $3^3/_4$ კაპეიკად. მყიდველებმა ქუთაისში უნდა მიმართონ ბეჟანეიშვილის მაღაზიას და ხონში ილ. ბახტაძის წიგნის მაღაზიას. (8—7)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ. 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—46)

**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

## Принимается подписка

на общественную, политическую и литературную газету

# „КАЗБЕКЪ“

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . **6** руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . **7** руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. I. Казарова. (12—11)